

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება – მასწავლებლის განათლება
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – განათლების ბაკალავრი
3. სწავლების ენა – ქართული
4. პროგრამის ხელმძღვანელები:
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - ჯემალ ჯინჯიხაძე ;
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - თემურ ორმოცაძე
5. პროგრამის მოცულობა – 240 (ECTS) კრედიტი
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
 - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
 - უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილზელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/და ლიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე კურსიდან;

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/6 ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, მასწავლებლის განათლების (დაწყებითი საფეხური) საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიცირებული დაწყებითი კლასების მასწავლებლები, რომლებიც მოცემული პროგრამის საფუძველზე შეიძენენ მთელ რიგ კომპეტენციებს: ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს, რაც აუცილებელია მასწავლებლის მაღალი აკადემიური სტანდარტების მისაღწევად.

წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია განათლების ეროვნულ პრიორიტეტებზე, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მომზადდება კრიტიკული აზროვნების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის (პირველი და მეექვსე კლასები) მასწავლებელი, რომელსაც საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები აქვს მასწავლებლის სასერტიფიკაციო მოთხოვნების დასაძლევად.

განათლების მიმართულების საბაკალავრო პროგრამები საქართველოს კანონით განათლების შესახებ არის რეგულირებული და სრულ შესაბამისობაში არის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - აქვს ფართო ცოდნა ეროვნული სასწავლო გეგმასა და შესაბამის საგანსა და საგნობრივ ჯგუფებში: მათემატიკის დაწყებითი კურსის, ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის, ბუნებისმეტყველების დაწყებითი კურსის საფუძველებში. იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლის სწავლებისა და შეფასების მეთოდები. კურსდამთავრებულმა იცის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, აკადემიური წერა მშობლიურ ენაზე; აქვს პედაგოგიური-ფსიქოლოგიური თეორიების ფართო ცოდნა და შეუძლია ამ თეორიებისა და დარგის პრინციპების კრიტიკული გააზრება და დარგის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები. იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი. იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძველებსა და სტრუქტურას. გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - კურსდამთავრებულს შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად. შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების მიზნით. შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა. აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი, აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.
- დასკვნის უნარი** - აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის უნარი; შეუძლია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი; შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება. შეუძლია მასწავლებლის განათლებაში არსებული ახალი დარგობრივი მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი. აქვს მასწავლებლის განათლების სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან. აქვს ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე პროფესიული ლიტერატურის გაცნობისა და კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის უნარი. არსებული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი იდეებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია. აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
- სწავლის უნარი** - განათლების ბაკალავრს ექნება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების, სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი. შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ახალი ინფორმაციის მიღებისა და შეთვისების, საგანმანათლებლო სივრცეში შემოსული სიახლეების გაცნობისა და დანერგვის უნარი. შეძლებს განსაზღვროს სწავლის გაგრძელების საკუთარი შესაძლებლობები აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე.
- ღირებულებები** - სწავლის პროცესში მასწავლებელს ჩამოუყალიბდება სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა. იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას. აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
ზოგადი კომპეტენციის სასწავლო კურსები - 60 კრედიტი														
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი														
ა)	ინგლისური ენა - დამწყებთათვის (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლიათ აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე	
2.	ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6						ENGL B 001	
3.	ინგლისური ენა III (Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6					ENGL B 002	
ბ)	უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.	უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე	
2.	უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6						ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	
3.	უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6					ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	
4.	დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (განათლება)	ENGL B 015 GERM B 015 FREN B 015 RUSS B 015	3	35	40			3					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	

5.	საოფისე პროგრამები	COMP B125	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე
6.	აკადემიური წერა განათლების ბაკალავრიატისთვის	EDUC B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
7.	ზოგადი ფსიქოლოგია	PSYC B135	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
8.	საქართველოს სახელმწიფოს ისტორია	EDUC B102	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
საფაკულტეტო არჩევითი კურსები - 9 კრედიტი						3	3	3						
1.	შესავალი თანამედროვე აზროვნებაში	EDUC B103	3	35	40									წინაპირობის გარეშე
2.	ფიზიკური აღზრდა	EDUC B104	3	35	40									წინაპირობის გარეშე
3.	ქართული კულტურის ისტორია	EDUC B105	3	35	40									წინაპირობის გარეშე
4.	სახვითი ხელოვნება	EDUC B106	3	35	40									წინაპირობის გარეშე
თავისუფალი კრედიტები - 9 კრედიტი (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)								3	3	3				
მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის სავალდებულო მოდული														
I - სასწავლო პროცესის დაგეგმვა														
1.	პედაგოგიკის საფუძვლები	EDUC B107	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	განათლების ისტორია	EDUC B108	6	65	85		6							EDUC B107
3.	ინკლუზიური განათლება	EDUC B109	6	65	85							6		EDUC B107
4.	საგნის სწავლების მეთოდები I მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია I	EDUC B110	6	65	85					6				EDUC B123 EDUC B124
5.	საგნის სწავლების მეთოდები II მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია II	EDUC B111	6	65	85						6			EDUC B110 EDUC B123 EDUC B124
6.	ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი (პრიორიტეტული, გამჭოლი კომპეტენციების განვითარება)	EDUC B112	3	35	40				3					წინაპირობის გარეშე
7.	განვითარებისა და სწავლების თეორიები	EDUC B113	6	65	85						6			EDUC B107
8.	კვლევის მეთოდები განათლებაში	EDUC B114	3	35	40							3		EDUC B107 EDUC B108 EDUC B113
II - სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება														
1.	განათლების სამართლებრივი აქტები	EDUC B115	3	35	40								3	EDUC B107 EDUC B108
2.	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა	EDUC B116	3	35	40							3		EDUC B107 EDUC B113

3.	სასკოლო პედაგოგიკა და კლასის მართვა	EDUC B117	6	65	85									EDUC B112 EDUC B107 EDUC B112
4	ეფექტურად სწავლების მეთოდები და სტრატეგიები (მოტივაცია და კომუნიკაცია; ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნა; სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და მათი ანალიზი)	EDUC B118	6	65	85								6	EDUC B107 EDUC B112 EDUC B113

დარგობრივი კომპეტენციის სასწავლო კურსები - 120 კრედიტი

სავალდებულო სასწავლო კურსები - 99 კრედიტი

1.	ქართული ენა I (ქართული ენის დაწყებითი კურსის საფუძვლები I)	EDUC B119	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
2.	ქართული ენა II (ქართული ენის დაწყებითი კურსის საფუძვლები II)	EDUC B120	6	65	85		6							EDUC B 119
3.	ქართული ლიტერატურის დაწყებითი კურსის საფუძვლები I	EDUC B121	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
4.	ქართული ლიტერატურის დაწყებითი კურსის საფუძვლები II	EDUC B122	6	65	85					6				EDUC B119 EDUC B120 EDUC B121
5.	მათემატიკის დაწყებითი კურსის საფუძვლები I	EDUC B123	6	65	85			6						წინაპირობა არა აქვს
6.	მათემატიკის დაწყებითი კურსის საფუძვლები II	EDUC B124	6	65	85				6					EDUC B123
7.	ბუნებისმეტყველების დაწყებითი კურსის საფუძვლები I	EDUC B125	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
8.	ბუნებისმეტყველების დაწყებითი კურსის საფუძვლები II	EDUC B126	6	65	85					6				EDUC B125
9.	ქართული ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა	EDUC B127	6	65	85						6			EDUC B121 EDUC B122
10.	მშობლიური ენის დიდაქტიკა	EDUC B128	6	65	85				6					EDUC B119 EDUC B120
11	ბუნებისმეტყველების დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა	EDUC B129	6	65	85					6				EDUC B125 EDUC B126
12.	ქართული მეტყველების კულტურა	EDUC B130	3	35	40					3				EDUC B119 EDUC B120

13.	განათლების ფსიქოლოგია ბაკალავრებისათვის	EDUC B131	6	65	85							6		EDUC B107 EDUC B108 EDUC B113	
14.	განათლების სოციოლოგია ბაკალავრებისათვის	EDUC B132	6	65	85							6		EDUC B108	
15.	წიგნიერება და კითხვის სტრატეგიები	EDUC B133	3	35	40						3			EDUC B119 EDUC B120 EDUC B128	
16.	მულტიკულტურული განათლება	EDUC B134	3	35	40					3				წინაპირობის გარეშე	
17.	პედაგოგიური პრაქტიკა	EDUC B135	6	105	45							6		დარგის საფუძვლები და საგნობრივი მეთოდები	
18.	საბაკალავრო ნაშრომი	EDUC B136	9	35	190							9		საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები	
არჩევითი სასწავლო კურსები - 21 კრედიტი											6	3	6	6	
1.	სამოქალაქო განათლება	EDUC B137	6	65	85									EDUC B102	
2.	საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ინტეგრირებული კურსი	EDUC B138	6	65	85									EDUC B102	
3.	საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ინტეგრირებული კურსის სწავლების მეთოდიკა	EDUC B139	3	35	40									EDUC B138	
4.	სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა	EDUC B140	3	35	40									EDUC B106	
5.	მუსიკის თეორიული საფუძვლები	EDUC B141	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
6.	მუსიკალური აღზრდის მეთოდიკა	EDUC B142	3	35	40									EDUC B141	
7.	შრომითი სწავლება	EDUC B143	3	35	40									EDUC B107 EDUC B108	
8.	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის	EDUC B144	3	35	40									წინაპირობის გარეშე	
9.	ბავშვის ანატომია,	EDUC B145	3	35	40									წინაპირობა არა აქვს	
10.	ბავშვის ფიზიოლოგია ჰიგიენით	EDUC B157	3	35	40									EDUC B145	
11.	სააუდიტორიო პედაგოგიური პრაქტიკა	EDUC B146	3	35	40									დარგობრივი საფუძვლები (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული)	
12.	მათემატიკის სწავლების პრაქტიკული საკითხები	EDUC B147	3	35	40									EDUC B123 EDUC B124	

